ოჯახური ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები და არასრულწლოვნები

2007 - 2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

ოჯახური ძალადობა

- 2007-2011 წწ. გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტებისა და მონაწილე პირების რაოდენობა – გვ.5
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება (მოძალადე) – გვ. 6
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება (მსხვერპლი) – გვ. 7
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება (2007 – 2011წწ.) – გვ. 8
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება (2007 – 2011წწ.) – გვ. 9
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით (მოძალადე) – გვ. 10
- ოჯახურ ძალადობაში მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით (მსხვერპლი)– გვ. 11
- ოჯახური ძალადობის სახეები (2007-2011წწ.) – გვ. 12
- ოჯახური ძალადობის რაოდენობის რეგიონალური განაწილება (2007-2011 წწ.) – გვ. 13
- ოჯახური ძალადობის ფაქტების რეგიონალური განაწილება 10 000 მოსახლეზე (2007-2011 წწ.) – გვ. 14
- ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სს საქმეების ძირითადი ტიპოლოგია (2007-2010 წწ.) – გვ. 15
- ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სს საქმეების ძირითადი ტიპოლოგია (2011წ.) – გვ. 16

ოჯახური კონფლიქტები

- ოჯახური კონფლიქტებისა და ფიგურანტების რაოდენობა (2010 - 2011 წწ.) – გვ. 18
- ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება – გვ. 19
- ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება – გვ. 20
- ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე პირების ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით – გვ. 21
- ოჯახური კონფლიქტების რაოდენობის რეგიონალური განაწილება (2010-2011 წწ.) – გვ. 22
- ოჯახური კონფლიქტების ფაქტების რეგიონალური განაწილება 10 000 მოსახლეზე (2010-2011წწ) – გვ. 23
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომხდარი და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული კონფლიქტები – გვ. 24

არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა

- არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობრივი მახასიათებლები (2007 – 2011 წწ.) – გვ. 27
- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტები არასრულწლოვანთა ასაკის მიხედვით – გვ. 28
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები არასრულწლოვანთა ასაკის მიხედვით – გვ. 29
- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტები არასრულწლოვანთა სქესის მიხედვით – გვ. 30
- არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებული დანაშაულებრივი ფაქტების სახეები – გვ. 31
- არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები – გვ. 32
- რეგიონები – გვ. 33

- რეგიონები – გვ. 33

ოჯახური ძალადობა

- სულ **2007-2011** წლის პერიოდში დაფიქსირდა 1025 ძალადობის ფაქტი, მათში მონაწილე 1997 პირით.
- *მოძალადეებს* შორის სჭარბობენ მამაკაცები - 887, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 89-ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალადობის *მსხვერპლი* გახდა 904 ქალი და 117 მამაკაცი.
- *მოძალადე* მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 წლის შუალედში. *მსხვერპლ* მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო *მსხვერპლ* ქალებში კი – 25-44 წლის შუალედში.
- ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფსიქოლოგიური (56.8%) და ფიზიკური ძალადობა (36.3%).
- ძალადობის ფაქტების რაოდენობით საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა თბილისი (632 ფაქტი), მეორე ადგილზე – აჭარა (84). *10 000 მოსახლეზე* ძალადობის ფაქტების ხვედრითი წილის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისსა (5.4 შემთხვევა) და მცხეთა–მთიანეთში (3.4).
- მოძალადეთა მიმართ ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების, ცემის და მუქარის შემთხვევებზე.

2007-2011 წლებში საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტებისა და მონაწილე პირების რაოდენობა



სულ 2007-2011 წლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დაფიქსირდა 973 ოჯახური ძალადობის ფაქტი, ხოლო ფიგურანტების რაოდენობამ 1997 შეადგინა. დამატებით 52 ოჯახური ძალადობის ფაქტი აღირიცხა საქართველოში არსებული სასამართლოების მიერ.

ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება



სულ 2007-2011 წლებში დაფიქსირდა მოძალადე 887 მამაკაცი და 89 ქალი.

ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება



სულ 2007-2011 წლებში დაფიქსირდა მსხვერპლი 117 მამაკაცი და 904 ქალი.

ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება (2007 – 2011წწ.)

მოძალადე



მოძალადე მამაკაცებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (59,2%) ფიქსირდება 25-44 წლის შუალედში.



მოძალადე ქალების შემთხვევაშიც ხვედრითი წილის უმეტესი ნაწილი (53,9%) 25-44 წლის ასაკობრივ ინტერვალშია.

ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება (2007 – 2011წწ.)

მსხვერპლი



მამაკაცებში მსხვერპლის სახით უმეტესად ფიქსირდებიან 45 წლის ასაკს ზემოთ მყოფი მოქალაქეები (59%).



მსხვერპლი ქალებიდან კი უმეტესი რაოდენობა (58,3%) 25-44 ასაკობრივ სეგმენტშია.

ოჯახურ ძალადობაში მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით

მ ო ძ ა ლ ა დ ე



ოჯახურ ძალადობაში მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით

მსხვერპლი



ოჯახური ძალადობის სახეები (რაოდენობა, პროცენტი) (2007-2011წწ.)



	ფსიქოლოგიური	ფიზიკური	ეკონომიკური	იძულება	სექსუალური	სხვა
2007	473	259	28	10	4	1
2008	168	118	8	3	1	0
2009	112	68	9	7	0	0
2010	172	135	12	6	3	0
2011	235	160	22	14	3	10

ოჯახური ძალადობის რაოდენობის რეგიონალური განაწილება (2007-2011 წწ.)

ოჯახური ძალადობის ფაქტების რეგიონალური განაწილება 10 000 მოსახლეზე (2007-2011 წწ.)



სამეგრელო-ზემო სვანეთი
0,2

შიდა ქართლი
1,5

მცხეთა-მთიანეთი
3,4

იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი
0,8

თბილისი
5,4

გურია
0,3

კახეთი
0,2

აჭარა
2,2

სამცხე ჯავახეთი
0,7

ქვემო ქართლი
1,6

	0 – 0,5
	0,5 - 1
	1 – 2
	2 – 3
	3 – 5
	5 +

ძალადობის ფაქტებში დაფიქსირებულ მსხვერპლთა ასაკის გაშუალებული მაჩვენებლიდან გამომდინარეობს, რომ:

ა) ყოველი 24 000-დან ერთი არასრულწლოვანი;

ბ) 4 000-დან ერთი ახალგაზრდა;

გ) 2 500-დან ერთი ასაკოვანი/მოხუცი

ფიქსირდება ძალადობის მსხვერპლად

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სს საქმეების ძირითადი ტიპოლოგია (2007-2010 წწ.)



ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სს საქმეების ძირითადი ტიპოლოგია (2011 წ.)



მძიმე კატეგორიის დანაშაულობებიდან ცალკე აღსანიშნავია: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - 1, ძარცვა - 1, ცეცხ. იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება - 1, გამოძალვა - 1, გაუპატიურება - 1.

ოჯახური კონფლიქტები

- **2010-2011** წლებში სულ დაფიქსირდა 3952 ოჯახური კონფლიქტი და 8341 გამავალი პირი.
- **2010** წელს ოჯახურ კონფლიქტში მონაწილე პირებიდან 53% მამაკაცია, ხოლო 47% ქალი. თანაფარდობა თითქმის უცვლელი რჩება **2011** წელს - მამაკაცები 52%, ქალები 48%.
- ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცების (53.4%), ისევე როგორც ქალების (49.1%) უმეტესობა წარმოადგენს 25-44 ასაკობრივ კატეგორიას.
- სულ **2010-2011** წლის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირდა კონფლიქტის 117 ფაქტი, ხოლო არასრულწლოვნებთან მიმართებაში საქართველოში სულ აღირიცხა 72 ფაქტი.
- საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მეტი ოჯახური კონფლიქტი დაფიქსირდა თბილისსა (1237 ფაქტი) და შიდა ქართლი/სამცხე-ჯავახეთში (759). ხოლო *10 000 მოსახლეზე* კონფლიქტების ფაქტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი გამოვლინდა მცხეთა–მთიანეთსა (23,9 შემთხვევა) და შიდა ქართლი/სამცხე–ჯავახეთში (14.3).
- ოჯახური კონფლიქტების განეიტრალების მიზნით სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ხორციელდება შესაბამისი ეტაპობრივი რეაგირება, რაც გამოიხატება გაფრთხილებაში, ხელწერილის ჩამორთმევაში, ოქმის შედგენაში, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემაში და ა.შ.

ოჯახური კონფლიქტებისა და ფიგურანტების რაოდენობა (2010 - 2011 წწ.)



2010-2011 წლებში სულ დაფიქსირდა 3952 ოჯახური კონფლიქტი და 8341 გამავალი პირი.

ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება



2010-2011 წლებში ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილეობდა 4379 მამაკაცი და 3962 ქალი.

ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება (2010 – 2011წწ.)



მონაწილე მამაკაცებში ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი (53,4%) ფიქსირდება 25-44 წლის შუალედში.



ქალებშის შემთხვევაში კი უდიდესი ხვედრითი წილი (49,1%) 25-44 წლის შუალედში მყოფ პირებზე ნაწილდება.

ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე პირების ასაკობრივი განაწილება წლების მიხედვით



ოჯახური კონფლიქტების რაოდენობის რეგიონალური განაწილება (2010-2011 წწ.)



სამეგრელო-ზემო სვანეთი
81

იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი
714

გურია
136

აჭარა
168

მცხეთა-მთიანეთი
261

თბილისი
1237

კახეთი
205

შიდა ქართლი/სამცხე-ჯავახეთი
759

ქვემო ქართლი
391

0 – 200
200 – 400
400 – 600
600 – 800
800 – 1000
1000 +

ოჯახური კონფლიქტების ფაქტების რეგიონალური განაწილება 10 000 მოსახლეზე (2010-2011 წწ.)



საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომხდარი და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული კონფლიქტები



2010-2011 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაფიქსირდა კონფლიქტის 117, ხოლო არასრულწლოვნებთან დაკავშირებით სულ საქართველოში კი - 172 ფაქტი, რაც ადმინისტრირებისა და გამოვლენის გაუმჯობესებითა და ლატენტურობის ხარისხის შემცირებითაა გამოწვეული.

ოჯახურ ძალადობასა და კონფლიქტებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია

- **2011** წლის 1 იანვრიდან **2012** წლის 1 აპრილამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ცხელ ხაზზე შემოსულია **3850** შეტყობინება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რაზედაც შედგენილია **275** შემაკავებელი ორდერი (შეტყობინებების 7.1%), აქედან **7** შემთხვევაში დარღვეულ იქნა შემაკავებელი ორდერის პირობები.
- ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით საინფორმაციო ცენტრში 2011 წელს რეგისტრირებულია 185 დანაშაული.
- გამოიკვეთა, რომ რამდენიმე მოქალაქე ინიციატორის სახით დაფიქსირებულია 4 და მეტ კონფლიქტურ სიტუაციაში. მიუხედავად ამისა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი გაფრთხილებულ იქნენ მხოლოდ ხელწერილით, რადგან ოჯახს არ სურდა კონფლიქტის ინიციატორის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა. ამიტომ, ცალკე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეები გაუმართლებლად ერიდებიან და ეწინააღმდეგებიან შემაკავებელი ორდერის გამოყენებას, რაც ძირითადად შემდგომი საქმისწარმოების პროცედურულ საკითხებზე არასწორი წარმოდგენებიდან მომდინარეობს (ოჯახის წევრის მიმართ ნასამართლობის წარმოშობის შიში და ა.შ.), რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება კონფლიქტის შემდგომი დარეგულირების ალბათობაზე.
- შსს საინფორმაციო ცენტრის მიერ **2010-2011** წწ. აღრიცხული ოჯახური კონფლიქტის ფაქტების მიხედვით ყველაზე ხშირად კონფლიქტის მხარეები არიან: ცოლ–ქმარი, მშობელი და შვილი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ხოლო მიზეზებს შორის ჭარბობს ალკოჰოლური თრობა, ქონებრივი დავა და ეჭვიანობა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა

- სულ **2007-2011** წლის პერიოდში აღრიცხულია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი **3842** დანაშაულებრივი ფაქტი, რომელთა მიხედვითაც მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და ბრალი წაყენებულ იქნა **4712** შემთხვევაში. მათგან უმეტესობა (68%) 16–დან – 18 წლამდე ასაკობრივ სეგმენტზე ნაწილდება.

- სულ **2007-2011** წლებში ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არასწრულწლოვნები ცნობილ იქნენ **14939** შემთხვევააში. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა (96%) 16–დან – 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელია.
- არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეებია: ქურდობა, ცივი იარაღის ტარება და ყაჩაღობა.

- არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ დანაშაულობათა სტატისტიკაში 96% შემთხვევაში მონაწილე პირები არიან მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

- **2011** წელს არასრულწლოვანთა მიმართ დაფიქსირდა 206 ძალადობის ფაქტი.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობრივი მახასიათებლები (2007 – 2011 წწ.)



სულ **2007-2011** წლის პერიოდში აღრიცხულია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი **3842** დანაშაულებრივი ფაქტი, თუმცა ცალსახად შეინიშნება მათი რაოდენობის კლების ტენდენცია, მაგალითისთვის - 2011 წელს ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად განახევრებულია 2007 წლის მონაცემებთან შედარებით.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტები არასრულწლოვანთა ასაკის მიხედვით (2007-2011 წწ.)



2007-2011 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა **4712**-ჯერ. შემთხვევათა უმრავლესობაში (68%) არასრულწლოვნები წარმოადგენდნენ 16–დან – 18 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები არასრულწლოვანთა ასაკის მიხედვით (2007-2011 წწ.)



2007-2011 წლებში არასრულწლოვანი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა **14939** შემთხვევაში. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა (96%) წარმოადგენს 16–დან – 18 წლამდე ასაკობრივ ინტერვალს.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტები არასრულწლოვანთა სქესის მიხედვით (2007-2011 წწ.)



არასრულწლოვანთა გენდერულ განაწილებაში პროცენტული თანაფარდობა წლების მიხედვით პრაქტიკულად უცვლელია. მამაკაცებისთვის ის შეადგენს 96%, ხოლო ქალებისთვის შესაბამისად 4%–ს. ამასთან, აბსოლუტური მაჩვენებლების კუთხით ორივე სქესთან მიმართებაში შეიმჩნევა კლების ტენდენცია.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებული დანაშაულებრივი ფაქტების სახეები



მძიმე კატეგორიის დანაშაულობებიდან ცალკე აღსანიშნავია: თავისუფლების უკანონო აღკვეთა - 92, განზრახ მკვლელობის მცდელობა - 89, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება - 48, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - 36, განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში - 32 , განზრახ მკვლელობა - 30.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები



არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობის რეგიონალური განაწილება (2007-2011 წწ.)

	0 – 150
	150 – 250
	250 – 350
	350 – 450
	450 – 600
	600 +

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების რეგიონალური განაწილება 10 000 მოსახლეზე (2007-2011 წწ.)



0 – 4
4 – 6
6 – 8
8 – 10
10 – 12
12 +

გმადლობთ

ყურადღებისთვის!